

# სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის № 9


## დადგენილება

ქ. თბილისი  
09.07.2021

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის N05/91 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-13 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 პრიმა მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-7 და მე-8 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 02.06.2021 წლის სხდომის N 7 დადგენილება სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) აკადემიური თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელსაც არა აქვს მოპოვებული დოქტორის/მაგისტრის აკადემიური ხარისხი, მაგრამ მისი კვალიფიკაცია დადასტურდება შესაბამისი მიმართულების ჯგუფის ხელმძღვანელობის 10 (ათ) წლიანი გამოცდილებით განსაზღვრის შესახებ ბათილად იქნას ცნობილი მიღების მომენტიდან.
2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კადრებისა და კანცელარიის სამსახურს;
3. დადგენილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირების მიერ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



გიორგი შალუტაშვილი